დუმისათვის მხარის დაჭერას. ჩვენი აზრით, „ნედოროზუმენიების“ თავიდან ასაშორებლათ ამხ. გ. პლეხანოვს ასეთი მოსალოდნელი შემთხვევები აუცილებლათ, თითქმის ხაზგასმითაც კი უნდა აღენიშნა თავის წერილში მუშათა მიმართ და ამისდაკვალათ განემარტა პროლეტარიატის ტაქტიკა დუმის შესახებ. ჩვენი აზრით, ამ კითხვისათვის პლეხანოვს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია იმიტომ, რომ პროლეტარიატის უმთავრეს ყურადღებას დღეს შეადგენს არა მარტო დუმისათვის მხარის დაჭერა, არამედ მაზე რევოლიუციონური გავლენის მოხდენა, რომ მან დუმის ყოველგვარ ყოყმანს და გაუბედაობას ბოლო მოუღოს და თანდათან სულ უფრო რევოლიუციონური მოქმედების გზაზე შეაყენოს იგი.

ამნაირათ, ერთი მხრით დუმის ყოველი გაბედული მოქმედებისათვის მხარის დაჭერა, მეორე მხრით დუმის გაუბედავი მოქმედების დროს მაზე რევოლიუციონური ზედ-მოქმედება—აი პროლეტარიატის დღევანდელი ნამდვილი შესაფერი და სწორე ტაქტიკა დუმის შესახებ. მხოლოდ ასეთი ტაქტიკის შემწეობით პროლეტარიატს შეუძლია უბრალო ჯარათ და იარაღათ არ გადაიქცეს „ბურჟუაზიული უმრავლესობის“ ხელში.

ამხ. პლეხანოვი დუმისათვის მხარის დაჭერას იმ მოსაზრებით ურჩევს მუშებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა დუმას „ადვილათ ჩაახშობს და, თუ საჭირო იქნება, გარეკავს კიდეც“. ეს მოსაზრება, რასაკვირველია, სავსებით საფუძვლიანია, მაგრამ საფუძვლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი სრულიად მხარს არ დაუჭერს დუმას და, დახმარების მაგივრათ, მტრულათ ან თუნდა უყურადღებოთ მოექცევა მას. ხოლო პროლეტარიატის ისეთი ტაქტიკა, რომელსაც მიზნათ აქვს: ერთი მხრით დუმისათვის მხარის დაჭერა, მეორე მხრით მაზე რევოლიუციონური გავლენის მოხდენა,—ასეთი ტაქტიკა სრულიადაც ხელს არ შეუწყობს მთავრობას ჩაახშოს ან გარეკოს დუმა. პირ-იქით, პროლეტარიატის ასეთი ტაქტიკის მეოხებით დუმას ერთი ორათ შეემატება ძალა და მთავრობას ერთი-ორათ გაუძნელდება მასთან გამკლავება.

## დეპეშები

კერძო.

**ბათუმი.** ისიდორე რამიშვილს. გილოცავთ რა არჩევას სახელმწიფო სათათბიროს წევრათ, დარწმუნებული ვართ, რომ შენ ამხანაგებთან ერთათ მოითხოვ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც შეუძლია განკურნოს დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება კერძოთ კი ჩვენი სკოლები.

ბათუმის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა მონდობილობით რაფიელ რამიშვილი.

**სანაინი.** ნოე ჟორდანიას. დიდი ხნის თქვენი ენერგიული მუშაობის მიხედვით ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ, როგორც წინათ, ისე ახლა შეუპოვრათ იბრძოლებთ პროლეტარიატის ინტერესებისათვის.

კოპლატაძე, კალანდაძე, კახელაძე.

**ზაქათალა.** ნოე ჟორდანიას. ქვემოთ დასახელებული პირები გიძღვნიან სალამს თქვენი სახელით ხალხის მიერ ამორჩეულ საუკეთესო წარმომადგენელს, გულითადათ გილოცავენ შენ და გისურვებენ ენერგიულათ მუშაობას წმინდა მომავლისათვის.

დიმიტრი ბლოკი, მაჩაბელი, სიმონოვი, ცეცხლაძე, გრიგოლაშვილი, პოპოვი, მონინი, ზენკოვსკი.

**ბათუმი.** ფედერალისტების ძალადობით სოციალდემოკრატი კანდიდატი გააშავეს. აირჩიეს ბრწყინვალე თავადი, გენერალი შარვაშიძე. (გაზ. „ზარია“)

## ახალი ამბები

◆ ჩვენი დეპუტატები: **ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, სერგეი ჯაფარიძე და სიმონ წერეთელი** დღეს, 2 ივნისს საღამოს 8 საათზე გაემგზავრებიან პეტერბურგში.

◆ გომის სადგურზე გუშინ წინ, 31 მაისს, როგორც იქიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, საღამოს მატარებელს 15-მდე გლეხი დახვედრია. **გლეხები უცდიდენ ჩვენს დეპუტატს ამხ. ნოე ჟორდანიას,** რომელსაც ტფილისისაკენ უნდა გამოევლო. მაგრამ რა კი ჟორდანია ვერ უნახავთ, გლეხებს მეორე ჩვენის დეპუტატისთვის ამხ. სვ. წერეთლისთვის უთქვამთ მგრძნობიერი სიტყვა. გლეხები ამას აბარებდენ თურმე დეპუტატს—„თქვენ მოითხოვეთ მიწა და თავისუფლება, ჩვენ ჩვენი მოვალეობა გვესმის, მხარს დავუჭერთ თქვენს მოთხოვნასაო“. გლეხებს წერეთლისთვის წერილი გამოუტანებიათ, რომელშიაც ისინი აწერენ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას და გაჭირვებას. წერილი ასე თავდება: „აღარ შეგვიძლიან ასეთი ცხოვრება! ჩვენ გვინდა მიწა და თავისუფლებაო“!

◆ ქიათურიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამას წინათ **შავი ქვის მაღაროების ყველა დარგის მუშები გაფიცულან** და კიდეც გაუმარჯვნიათ. მუშებს რვა საათის სამუშაო დღე მოუპოვებიათ.

◆ როგორც „კავკაზი“ გადმოგვცემს, კავკასიის ნამესტნიკს სამხედრო მინისტრისაგან დეპეშა მოუვიდა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ტფილისის დრ. **გენერალ გუბერნატორს ტიმოფეევს** გენერალ-ლეიტენანტობა ებოძა და ტფილისის კომენდანტათ დამტკიცებულ იქმნაო.

◆ „რაბოჩი ლისტოკის“ ყოფილი რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ი. თამამშევი** პეტერბურგიდან გუშინ წინ ტფილისში ჩამოვიდა. იუსტიციის მინისტრს თამამშევისთვის ნება დაურთავს სასჯელი ტფილისის საგუბერნიო საპყრობილეში მოიხადოს.

◆ **სამღვდელოების სიეზდზე** ქ. ტფილისიდან დეპუტატებათ არჩეულ იქმნენ მღვდ. ციცქიშვილი და ვ. კარბელოვი.

◆ **ფინანსიურმა კომისიამ,** რომელიც ტფილისში პოლიტეხნიკუმის დამაარსებელ საზოგადოების თათბირზე იქმნა ამორჩეული, თავ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით შეიმუშავა შემოწირულებათა შეგროვების პროექტი, ამასთან ერთს წევრს აინდევს ამ საკითხის შესახებ თავისი მოხსენება წარმოადგინოს მომავალ შემომწირველთათვის დასაგზავნათ. უკანასკნელი სხდომა ხსენებულ კომისიისა მოხდება შაბათს, 3 ივნისს. შემდეგ მთელს მასალას ამ საკითხის შესახებ კომისსია გადასცემს ნამესტნიკთან არსებულ საბჭოს.

◆ ტფილისში სომეხ-თათართა შეტაკების დროს მე-6 საპოლიციო ნაწილში მცხოვრებლებმა შეადგინეს **ღამით მოყარაულე რაზმი.** შემდეგ კი ეს რაზმი დაიშალა. რადგან ახლა ტფილისში ამბავი მოდის, რომ სომეხ-თათართა დამოკიდებულება ერევნისკენ ისევ გამწვავდაო, მე-6 საპოლიციო ნაწილის მცხოვრებლებმა ხელახლა შეადგინეს ეს რაზმი. იგი თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს მცხოვრებთაგან წინათ შემუშავებულ ინსტრუქციით.

◆ გუშინ, დილის 10 საათზე, ვიღაც უცნობმა **სასიკვდილოთ დასჭრა** რკინის გზის საავადმყოფოში მწოლიარე კრაჩენკო. კრაჩენკო ამას წინათ დაჭრეს და ჯერ კიდევ არ მორჩენილიყო იგი. როგორც გადმოგვცეს, ის „ტფილისის პატრიოტულ საზოგადოების“ ერთი უმთავრეს წევრთაგანი ყოფილა.

◆ ამას წინათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას მონაწილეობა მიიღოს იმ ხარჯში, რომელიც პროექტით გადადებულია **ახალ საოსტატო სემინარიისთვის.** ქალაქის გამგეობასთან არსებულ სამოსწავლო კომისიამ დაადგინა—აცნობოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ სემინარიის შენობისათვის ქალაქს შეუძლიან ავლაბარში საჭირო ადგილი დათმოს და იმდენი სტიპენდიები დანიშნოს, რამდენსაც ქალაქის საბჭო გადასწყვეტსო.

◆ **დუმის წევრს, ამხ. ნოე ჟორდანიას,** ქალაქის თავის მოადგილემ, ნ. ვ. ჩერქეზიშვილმა, შემდეგი მოწმობა მისცა: „ესე მიეცა ჩემგან, ტფილისის ქალაქის თავის მოადგილესაგან, ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას, მას შინა რომ იგი, ამ ჟამათ პეტერბურგში მიმავალი, 1906 წლის 26 მაისს მომხდარ ტფილისის საზოგადო ამომრჩეველთა კრებაზე, პირად ჩემის თავმჯდომარეობით, ამორჩეულ იქნა ქ. ტფილისიდან სახელმწიფო დუმის წევრათ“.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა დროებით უფროსმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელს ნ. ჩერქეზიშვილს, რომ შეშისა და ფიცრების საწყობების პატრონთა თხოვნა იმის შესახებ, რომ მათ ნება დაერთოთ თვითონ დაიქირაონ მუშები შეშით დატვირთულ ვაგონების დასაცლელათ, უყურადღებოთაა დატოვებულიო. ამის მიზეზათ რკინის გზათა უფროსი იმას აცხადებს, რომ რკინის გზაზე სამხედრო წესებია გამოცხადებული და **უცნობ მუშებს ვერ მივიღებთ სამუშაოზეო.** ვაგონებს ამ ჟამათ ტფილისის სადგურზე ჟანდარმთა სამმართველოსაგან კეთილ-საიმედოთ მიჩნეული მუშები სცლიან. დღიური ფასი მათ საზოგადო მაზანდის მიხედვით ეძლევათ. ამ მაზანდას ტფილისის ჟანდარმთა პოლიციის სამმართველოს უფროსი იმუშავებს. ამ მაზანდაში მხედველობაში მიღებულია როგორც საქონლის პატრონთა, ისე მუშათა ინტერესების დაცვა.

◆ გუშინწინ, 31 მაისს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში კერძო თათბირი ჰქონდათ ქალაქის თვითმართველობისა და ტფილისის **უსაქმოთ დარჩენილების წარმომადგენელთ.** თათბირზე როგორც ქალაქის თვითმართველობისა ისე უსაქმოთ დარჩენილების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს დღეს უსაქმოთ დარჩენილებისთვის სამუშაოს შოვნა. ბ-ნმა ხატისოვმა დაასახელა სხვადასხვა სამუშაო, რომლის აღსრულებას ქალაქის გამგეობა ეხლავე უნდა შეუდგეს. ეს არის ქალაქის ზოგიერთ ქუჩების მოკირწყვლა ქალაქის წყლის-სადენი მილების გაწმენდა, ცენტრალურ საავადმყოფოსა და ტეხნიკურ ლაბარატორიის შენობების აგება და სხვ. ამავე თათბირზე გადასწყვიტეს სთხოვონ უსაქმოთ დარჩენილთა კოლეგიას—შეადგინოს მან თავისი წევრების სია.

◆ 31 მაისს ქ. ბაქოს ამომრჩეველთა კრებაზე ქალაქის **დეპუტატათ დუმაში** ამოირჩიეს გაზეთ „კასპი“-ს რედაქტორ-გამომცემელი ნაფიცი ვექილი, ალი-მარდან-ბეგ თოფჩიბაშევი. თავისი რწმენით თოფჩიბაშევი კადეტთა პარტიას უახლოვდება. აქვე აღვნიშნავთ ადგილობრივ გაზეთებში ამას წინათ მოხსენებულ ცნობას: ამომრჩევლებმა პირობა დაუდეს თოფჩიბაშევს, თუ დუმაში აგირჩიეთ, იქ ამნისტიაზე კრიტიკაც არ უნდა დასძრაო.

◆ ამჟამათ ტფილისის საგუბერნიო საპყრობილესა და მეტეხის ციხეში 650 **პატიმარია.** ამათში საპყრობილეს საავადმყოფოში 109 კაცი წევს. მეტეხის ციხეში 397 კაცი ზის, ხოლო საგუბერნიო საპყრობილეში 259. გადასასახლებელი—35 კაცი და 1 ქალია, ადმინისტრატიული—103 კაცი და პოლიტიკური ხუთი კაცი და 3 ქალი.

◆ გუშინ წინ ტფილისის საკრებ[ულოს] შენობაში პროფესორმა **მარრმა** წა[იკითხა] **ლექცია** ანის სიძველეთა შესახებ. [...]ცის ხალხი ბლომათ დაესწრო.

◆ გუშინ გამოვიდა ახალი ყოველ[დღიუ]რეული გაზეთი **ქართულ ენაზე**—„სი[...]

◆ გუშინ საბჭოს დარბაზში მოხდა [კრე]ბა ტფილისის **უსაქმოთ დარჩენილ მუშე[]ბისა.** იქ სხვათა შორის საჭიროთ [სცნეს] „ტფილისის უსაქმოთ დარჩენილების [სა]ბჭოს დაარსება“. ამ საბჭოში პროპორ[ციო]ნალურათ შევლენ, როგორც უბრალო [მუშების, ისე] ინტელიგენტურ მუშების წარმომადგენ[ლე]ბი. უსაქმოთ დარჩენილთა სიის შემდგენ[ელ] ამოირჩიეს 10 კაცისაგან შემდგარი კომ[ის]სია.

◆ 31 მაისს, ნაშუადღევის ხუთ საა[თზე] მე-5 საპოლიციო ნაწილში პოლიციამ დაატ[ყვევ]ა ტფილისის მაზრის ს. დიდ-თონეთის მ[ცხო]ვრები გიორგი ლანდარიძე, რომელსაც რევ[ოლ]ვერი აღმოაჩნდა. როდესაც დაჭერილი [პოლი]ციის ნაწილში მიუყვანათ, მასთან მიმავა[ლ უბ]ნის ზედამხედველს, კათოლიკეთა ქუჩაზე [...] ლენჯერმა ესროლეს რევოლვერი ვიღაც [...]ბებმა, მაგრამ არავინ დაუჭრიათ, მსროლ[ელნი] მიიმალენ.

◆ 31 მაისს ვიღაც უცნობები თავს [და]ხენ ავჭალის ქუჩაზე ზარიევის სახლში მც[ხო]ვრებ ნ. ა. ბროზელს. წაართვეს ფული 21 მანეთი, სხვა-და-სხვა ნივთები 300 მანეთ[ის ღი]რებული, და მიიმალენ.

◆ 31 მაისს საღამოს ექვსის ნახევარ [საათ]ზე მტკვარში დაიხრჩო ვიღაც მოლდოვი. ხრჩვალის გვამი მიხეილის საავადმყოფოში [წაი]ყვანეს.

◆ მეხუთე საპოლიციო ნაწილის უბნის მ[ე]თვალყურემ გუშინწინ, 31 მაისს საღამოს [...] საათზე სიონისა და კოლოკოლნი ქუჩ. კუთხ[ე]ში შენიშნეს ერთი საეჭვო უცნობი. უბნის მეთვალყურემ შორიდან უბრძანა ადგილიდან არ დაძრულიყო, თვითონ კი პოლიციელს დაუძახა უცნობის გასაჩხრეკათ. მაგრამ ამ უკანასკნელმა იუკადრისა უბნის მეთვალყურის ბრძანება და მისკენ წამოსულ პოლიციელისკენ რამდენიმეჯერ რევოლვერი გაისროლა, შემდეგ კი ირაკლის ქუჩისაკენ გაიქცა, სადაც მორიგ პოლიციელი მელნიკოვი დასჭრა ტყვიით, მელნიკოვმაც თავის მხრივ თოფი ესროლა და დასჭრა უცნობი, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც თამამშევის ქარვასლაში ნახეს დამალული, იგი აღმოჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრები გარდაბაძე. დაჭრილი აბულაძე სამხედრო ჰოსპიტალში გაგზავნეს, ხოლო პოლიციელი მელნიკოვი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ ბახმაროს მიმხმარებელი ამხანაგობა „ჯანმრთელობა“ გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ წელს ბახმაროზე არსებული საზოგადო სავაჭრო დუქნები იჯარით არ იცემა, როგორც ეს წინა წლებში იყო. საზოგადოება სავაჭრო დუქნებს წელს თვითონ აწარმოებს და მოაგარაკეთა წინაშე პასუხისმგებასაც კისრულობს. ხსენებულ საზოგადოების გამგეობა თხოვს ამხანაგობის წევრთ თავიანთი საწევრო დარჩენილი ფული ორ-ორი მანეთი 15 ივნი[სამდე] [...]

## ფელეტონი

***

დიდხანს ვატარეთ მძიმე უღელი,
დიდხანს ვემონეთ ჩვენს მტარვალ მეხრეს,
ჩვენს ნაშრომს ნთქავდა ის ულმობელი;—
მადლობის ნაცვლათ გვიჭერდა სახრეს.

—

ვიტანჯოდით და... უეცრათ გაქრა
დრო მტარვალობის, უტყვი მონობის;
მედგარი ბრძოლის საათმა დაკრა
და გაისმა ხმა ძმობა-ერთობის!..

—

გავლიეთ დღენი მწარე ტანჯვების...
ბევრი ვუმსხვერპლეთ თუმცა მტარვალებს,
მაგრამ სანაცვლოთ თავისუფლების
ახლა კი სხივი ჩვენში ტრიალებს!..

—

და აწ შორს ჩვენგან ტანჯვა-წამება,
შორს მუქთახორათ ბასრი ბრჭყალები,
შორს ორთავეან არწივის ნება
და მისი სისხლით სავსე თვალები!..

—

მაშ მამაცურათ, ერთხმათ დავძახოთ:
„ბრძოლა გმირული, ბრძოლა მედგარი“!
რომ სამუდამოთ ძირს დავანარცხოთ
მუქთახორები გაუმაძღარი!

ლადო დარჩია.

### ობიექტიური და სუბიექტიური იდეალები *)

საწარმოო ძალთა განვითარება იწვევს განსაზღვრულ საზოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობას, ე. ი. განსაზღვრულ დამოკიდებულებას ადამიანებ შორის წარმოების პროცესში. ამას ეწოდება საზოგადოების, მისი ეკონომიური სტრუქტურა, საფუძველი, რომელზედაც შენდება იდეოლოგიური და იურიდიული ზედნაშენი ყოველი საზოგადოების, თუ საზოგადოებრივი კლასების შეხედულება, აზრი, ჩვეულება, მისწრაფებები, მათი იდეალი.

იდეალი წარმოშობილია ეკონომიურ ინტერესებისაგან. მუშა ცდილობს მოსპოს ის, რაც შეადგენს მისი დამონების, დაქირავების საფუძველს, კაპიტალისტი ცდილობს შეინარჩუნოს ის, რაც მას ბატონობას აძლევს, ძალას და სიმაგრეს. ამიტომ პირველი ებრძვის კერძო საკუთრებას, ინდივიდუალურ მითვისებას, ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციას და სხვ. მეორე იცავს საკუთრებას და მაზე აშენებულ კანონიერებას, იცავს კერძო მითვისებას და ებრძვის ყველას, ვინც კი ამ საფუძვლის შერყევას შეეცდება, ის მას ქვეყნის და საზოგადოების წმინდათა წმინდის შემბღალველათ მიაჩნია, ვინაიდან თავის არსებობის საფუძველი მთელი კაცობრიობის არსებობის საფუძვლათ მიაჩნია და თავისი შეხედულება საყოველთაო სავალდებულო შეხედულებათ.

მაგრამ, განა ჩვენი იდეალი კი საზოგადოებრივ კლასთა ინტერესების გამომხატველი არაა,—გაიძახიან იდეალისტები. მაშასადამე, ისიც მატერიალურ საფუძველზე ყოფილა დაფუძნებული და საოცნებო საიდანღა უნდა იქნეს, თუ განგებ არ გინდათ ის მაინც და მაინც საოცნებოთ გამოაცხადოთ? აი საიდან. ყველა იდეალს არა აქვს მომავალი, ყველა იდეალი ვერ განხორციელდება, არამედ მხოლოდ ზოგიერთი.

ჩვენ ვიცით, რომ ერთი საზოგადოებრივი კლასის ინტერესები დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება მეორე კლასის ინტერესებს, ამიტომ მათი იდეალებიც ასე წინააღმდეგი არიან ერთი-მეორის. ორივე იდეალის განხორციელება ერთათ არ შეიძლება. მაშ რომელი უნდა განხორციელდეს ორში? ამით ჩვენ მივადექით იმ საკითხს, რომლის ახსნას ამაოთ ცდილობდა იდეალისტური შეხედულება ისტორიაზე. რომ იდეალის განხორციელება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ინტერესთა წინააღმდეგობაზე, ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვექნება გადაჭრით აღვიაროთ, ესა და ეს იდეალი განხორციელდება, და ესა და ეს არა-თქო. და აი რატომ. ჩვენ ვიცით, რომ იდეალის განხორციელებას ეჭირვება ძალა. ინტერესები კი თავის თავათ ასეთ ძალას არ წარმოადგენენ.

ისტორია გვასწავლის, რომ მას შემდეგ, რაც პირველი კომუნალური წყობილება დაიშალა, საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა და ამ ბრძოლაში ბატონობა და გამარჯვება დღემდის მუდამ მყვლეფელთა უმცირესობას რჩებოდა, მაშინაც კი, როდესაც მის უმთავრეს ძალას დაჩაგრული კლასები წარმოადგენდენ. გერმანიის გლეხთა ომებმა მოიტანა ნაყოფათ მათი დამონება, მიწაზე მიჯაჭვა, საფრანგეთის რევოლიუციამ, რომელსაც დაჩაგრულთა ლოზუნგი, ძმობა, ერთობა-თანასწორობა ეწერა დროშაზე, მოიტანა ბურჟუაზიული თანასწორობა, ე. ი. დაქირავების და გაჭირვების, ძმობის მაგიერ ახალი მტრობა, ახალი ბატონობა მონათა შორის, ერთობის მაგიერ ახალი კლასობრივი მწვავე ომი.

მაშასადამე საფრანგეთის რევოლიუცია არ იყო განხორციელება იმედების, რომელსაც ქადაგებდენ მის მოსახდენათ. და განა ცოტაა ისტორიაში ასეთი მაგალითები? ცოტა ჩაგრულთა ოცნებები და მისწრაფებები დამსხვრეულა ისტორიის ულმობელ კლდეზე? და ყველა ეს მიუხედავათ იმისა, რომ მათ ბევრი მიმდევრები ყავდათ, ბევრი თავგანწირული სიცოცხლე შეეწირა.

რას ამტკიცებენ ეს ფაქტები? ესენი აშკარათ ამტკიცებენ, რომ მარტო იდეალის შემუშავება და მისი ხალხში ქადაგება არ კმარა, არ კმარა ხშირათ ამ იდეით გატაცებულ ხალხის ბრძოლაც მის განსახორციელებლათ. მაშ ამისთვის საჭირო ყოფილა რაღაც სხვა ძალა. რომელი იქნება ეს ძალა?

ეს იქნება ის ძალა, რომელიც ატრიალებს ისტორიის ჩარხს, ქმნის ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ინტერესებს, მისწრაფებებს, იდეალებს, ბრძოლას მათ განსახორციელებლათ და სხ. ე. ი. ის ძალა, რომელმაც გამოიწვია ის ცხოვრებაში. ერთი სიტყვით ამა თუ იმ იდეალის განხორციელება დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარებაზე.

საწარმოო ძალთა განვითარება შედეგია და თან მიზეზი საზოგადოების ბრძოლისა გარეშე ბუნებასთან. ის გამომხატველია ადამიანის გამარჯვებისა ბუნებაზე და განისაზღვრება ამ გამარჯვების რაოდენობით. ბუნებასთან ბრძოლა ეს არსებობის აუცილებელი მოთხოვნილებაა, მაშასადამე აუცილებელი მოთხოვნილება ყოფილა აგრეთვე საწარმოო ძალთა განვითარებაც. ცხადია, იმ საზოგადოებაში, რომელიც პროგრესის გზას ადგია, განხორციელდება მხოლოდ ისეთი იდეალები, რომელიც გამომხატველი და ხელის შემწყობი იქნებიან საზოგადოების წინმსვლელობის, პროგრესის, ე. ი. საწარმოო ძალთა განვითარების,

ამისთვის კი საჭიროა იდეალი იყოს არა ჩვენ სურვილზე და მისწრაფებაზე დამყარებული, არა სუბიექტიური მსჯელობის ნაყოფი, არამედ ობიექტიურ ცხოვრების მსვლელობაზე აშენებული. მხოლოდ იმ იდეალს აქვს მომავალი, რომელიც ასეთ ნიადაგზეა აღმოცენებული.

თუ იდეა დამოკიდებულია ეკონომიურ ურთიერთობაზე, მაშ რატომ ვერ ხორციელდება ყველა იდეალები? ან რატომ არის ზოგი იდეალები საოცნებო და ზოგი რეალური?

იდეალი გამომდინარეობს საზოგადოებრივ ჯგუფის, კლასის ინტერესისაგან. თვითეული კლასი, თუ ჯგუფი მიისწრაფვის ისეთ საზოგადოებრივ წყობილებისაკენ, სადაც მისი ინტერესები სავსებით იქნება დაცული და ამ მიზანს ემსახურება მისი ყოველი შეხედულებანი. იდეალის განხორციელება თუ განუხორციელებლობა ამიტომ ნიშნავს ამა თუ იმ კლასობრივ, ანუ ჯგუფობრივ ინტერესების გამარჯვებას ან დამარცხებას. მაშასადამე უნდა ვიკითხოთ, რომელი ინტერესები ვერ განხორციელდება. პასუხი აშკარაა. ის ინტერესები, რომელნიც თხოულობენ საზოგადოებრივ ჩარხის შეყენებას, ერთ წერტილზე შეჩერებას ან და ისტორიულ ჩარხის უკან დატრიალებას, ყოველთვის გათელილ იქნება საზოგადოებისაგან, თუ თვითონ საზოგადოება გადაგვარების გზას არ დაადგება. ამნაირათ იდეალი რომ ოცნების სამეფოსა არ დარჩეს, რომ ის შეესაბამებოდეს ცხოვრების ობიექტიურ მსვლელობას, საზოგადოების არსებობას და განვითარების მატერიალურ, (ნივთიერ) პირობებს, მხოლოდ ასეთი იდეალი არის ნამდვილი რეალური და მისაწდომი. მისი განხორციელება უზრუნველყოფილია განვითარების აუცილებლობის კანონებისაგან და ამიტომ მის მატარებელ კლასს შეუძლია იმედით შეჰყუროს მომავალს, თამამათ ვაუსწოროს თვალი აწმყოს და თავგამოდებით იბრძოლოს თავის იდეალის განსახორციელებლათ იმ ღრმა რწმენით აღფრთოვანებულმა, რომ მისი იდეალი უეჭველათ განხორციელდება. აი ასეთი იდეალი მეტ ძალას და ენერგიას აძლევს ადამიანის და მთელი ჯგუფების, კლასების მოქმედებას, ვინემ რომელიც ლამაზათ დაწერილი, თვალ-წარმტაცი, მაგრამ საოცნებო იდეალები. ეს იმიტომ, რომ პირველი ყოველთვის ამოკრებს ძალას და მხნეობას თვით ცხოვრების გულიდან, მის წინმსვლელობიდან. მეორე კი იძულებული იქნება ებრძოლოს მას და დამარცხებული მიეცეს სასოწარკვეთილებას, უიმედობას. პირველი ბადებს ნამდვილ, საღ ოპტიმიზმს, მეორე სულის სიობლეს, პესსიმიზმს.

მიშა.

*) იხ. „ლამპარი“ № 34.

...შეიარაღებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვ... [illegible] ... ნინა კილანიძე.

## კავკასიის სათათბიროს ამხანაგ დეპუტატებს

**ამხანაგებო!**

...დროს, როდესაც სალდათის ხიშტი ...ვინელების ხმალი სცემს კანონებს და ...ების მათრახს ის სისრულეში მოყავს, ...ოს თქვენ მიემართებით სახელმწიფო ...თათბიროში. თქვენ გიდევთ წინ ეკლიანი ...ზა თავრიდის სასახლის გარეთაც. მარა ...ნ ვერ შეაშინებთ ყველა ის დაბრკოლება, რომელთაც თქვენ წინააღმდეგ აშენებს ...სულთამობრძავი მთავრობა. თქვენ ...ი, რომ თქვენი მოქმედება იმის თავდებია, რომ ყოველივე ტანჯვა-წვალების მიუხედავათ ძველ კედლებს მაინც გაარღვევს ...ისუფალი ცხოვრება, და მას ვერ შეაჩერებს მეფის ჯალათების ვერავითარი სი...ეე. წადით და თავისუფალ ტრიბუნიდან ...უწოდეთ ხალხს „მიწის და თავისუფლებისათვის“ საბრძოლველათ. დეე ყველამ ...იგონოს თქვენი მქუხარე თავისუფალი ...ა. ყველამ, გლეხი იქნება თუ მუშა, მოქალაქე თუ სალდათი! გააფართოვეთ და გაამაგრეთ ხალხის შეგნება! შემოიკრიბეთ ...ხალხის ძლიერი ძალები! დეე სათათბირო ...ლხში და სოც.-დემ. ჯგუფი კი სათათბიროში გადაიქცეს ცენტრათ სახალხო მრიხსანების, და მით გადაიქცეს რევოლიუციის გასაძლიერებელ იარაღათ. როდესაც დადგება ...ოდრო, მაშინ თქვენ გამოგყვებათ მთელი ...ხალხი, როგორც მუშა და გლეხი, მოქალაქე და სალდათიც, და თქვენ, პროლეტარიატის ბელადებო, მაშინ შეიქნებით რევოლიუციის ბელადებათ და ძველ ფეოდალურ-ბიუროკრატიულ რეჟიმს, სასიკვდილოთ ჩასცემთ ლახვარს. მაშ წადით, უხელმძღვანელეთ ხალხის რევოლიუციონურ მოძრაობას. რომელსაც შეუძლია განახორციელოს სათათბიროს დეკრეტები და მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, და მით დემოკრატიის გამარჯვება უზრუნველ ჰყოს. წადით და შეებრძოლეთ ხალხის მტრებს, და მით დაამტვრიეთ ის ბორკილები, რომლითაც შებოჭილია მშრომელი ხალხი.

ჩვენ, მებრძოლნი რ. ს. დ. მ. პარტიის რაზმებში, ეხლა კი უსამართლოთ ჩაყრილნი მეტეხის ციხეში, გილოცავთ თქვენ და თქვენთან ერთათ სათათბიროს წევრებს, ამხანაგ მუშებს; დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ერთ სულოვანი და შეუპოვარი მუშები სახალხო ძალებს ორგანიზაციის საქმეში შეანგრევს რეაქციის ციტადელის კედლებს; და თქვენ მოწოდებაზე ამგვარი ხალხი მოსპობს მეფობას და გაინთავისუფლებს თავს მონობისაგან; მაშინ ის ჩვენც გაგვიღებს ციხის კარებს, რათა ჩვენც მათთან ერთათ ჩვენს აღმზრდელ პროლეტარულ პარტიის რაზმებში შევებრძოლოთ მტერს დემოკრატიის სრული გამარჯვებისათვის, რომელიც შეადგენს აუცილებელ სტადიას სოციალიზმის განხორციელებისათვის.

მაშ წადით ამხანაგებო და მედგრათ შეუდექით მუშათა საქმის კეთებას!

კეთილი და მრისხანე გზა!

გაუმარჯოს რ. ს. დ. მ. პარტიას!

1) ალ. ზაკომოლდინი, 2) პავლე ანპუ...სი, 3) გიორგი მაჩაბელი, 4) ნიკოლოზ ...კოშერი, 5) სავვა მიხაილიჩენკო, 6) მოსე ...აშიძე, 7) რაჟდენ დოლიძე, 8) დავით ...როსტომაშვილი, 9) (ვერ ამოვიკითხეთ), 10) ვანო ბალიაშვილი, 11) კალისტრატე ...გოგუა, 12) ნოე რამიშვილი, 13) ნესტორ ...კლაძე, 14) ზ. ომიაძე, 15) ვლ. გოგუა, 16) ივანე ივჩენკო, 17) ა. მაჭავარიანი, 18) აკაკი კიკვაძე, 19) გასპარ არუთინო...ვი, 20) კოსტა ვაშაკიძე, 21) მ. კიასოვი, 22) ვლ. შენგელია, 23) სანდრო მჭედლიშვილი, 24) რაჟდენ თამარაშვილი, 25) მიხ. ...ბეტუაშვილი.

## ადგილობრივი პრესა.

...მაგრამ სწორე რომ ვთქვათ, კადეტებისგან—რაც უნდა დიდი გავლენა ვიქონიოთ მათზე—ჩვენ მაინც მაგდენს არაფერს არ გამოველით.

მართალია დღეს რუსეთის იმპერიაში ისეთი პოლიტიკური ვითარებაა, რომ ბურჟუაზიულ პარტიებს დიდი წვლილი უნდა შეეტანათ განმთავისუფლებელ მოძრაობაში, მაგრამ ნამდვილათ, დღევანდლამდე მაინც განმთავისუფლებელ მოძრაობის მწარმოებელ მუშა ხალხს ეს პარტიები უფრო ...ღალატში ედებიან, ვინემ ემსახურებიან... ...ბურჟუა დემოკრატები რომ გამო... ...ნარის არიან, ამას მოწმობს ...„კავკ. ვესტი“-ს გუშინწინდელი ნო...მერი. ...ეთი მიმართავს დუმაში მიმავალ ჩვენს დეპუტატებს და მოაგონებს იმოქმედონ არა თანახმათ თვის სოციალ-პოლიტიკურ რწმენების, არამედ იმის დაკვალათ, თუ რას ლაპარაკობს ან რას ლაპარაკებს საქართველო, და თუ დეპუტატები ასე არ მოიქცევიან, მაშინ იგინი საქართველოსგან დაიმსახურებენ იუდა გამცემლის ხვედრსაო. ცოტა არ იყოს ბუნდოვანათ არის ნათქვამი, თუ რას თხოულობს „კავკ. ვესტი“; მარა მაინც ცხადია, რომ ესეც იმავე „ნაკაზს“ აძლევს ჩვენს დეპუტატებს, რაც იმ დღეს „კავკაზმა“ მისცა, ე. ი. დეპუტატებმა „ხალხს“ უნდა შესწირონ (უარჰყონ) თავისი სულიც, ე. ი. სოც.-პოლიტიკური რწმენა. და რაკი ლაპარაკია ს. დ. დეპუტატებზე, მკითხველი ხედავს, თუ რას თხულობენ ჩვენგან ბურჟუაზიული პარტიები „ხალხის ინტერესების“ სასარგებლოთ. ბურჟუაზია და მისი პარტია ტყუილათ კი არ არის ანგარიშის, „ჩოტკის“ ხალხი... საზიზღარია.

გაზ. „ივერიაც“ (№ 18) გვევაჭრება. წინადადებას თუ ვალდებულებას გვაძლევს, რომ „სოციალდემოკრატებმა, როგორც ქართველების ერთათ ერთმა წარმომადგენლებმა“ სათათბიროში „იკისრონ“ ქართველების ეროვნულ პარტიის მაგიერობა“. გაზეთი ასაბუთებს, რომ „მართლაც, ქართველებისაგან არჩეულ სოციალდემოკრატებს სათათბიროში მეტი მოეთხოვებათ, ვიდრე მათ რუს ამხანაგებს“; და გვიცხადებს, რომ თუ ჩვენი დეპუტატები მიიღებენ მათ წინადადებას, მაშინ „ქართველებში მოისპობა ეროვნული ჩაგვრა“ და... ერთი სიტყვით ხალხის ცხოვრება საუკეთესოთ მოეწყობა. როგორც ხედავთ ურიგო მაჭანკლობა არა სცოდნია ბებერ „ივერიას“. მაინც სახელდობრ რა უნდა მოითხოვონ დეპუტატებმა? „ივერია“ პასუხით იძახის: „ნუ თუ იქ, სადაც აშკარა იქნება, რომ რომელიმე მეზობელ ერის ბურჟუაზია სხვა და სხვა საშუალებით ცდილობს ქართველობის ეროვნულ დაჩაგვრას, ქართველთა სახელით სათათბიროში წასული სოციალდემოკრატები გაჩუმდებიან და ქართველებს დაჩაგვრისაგან არ დაიცავენ? (კურსივი ჩვენია)... ან როცა კავკასიაში შიაგულ რუსეთიდან ხალხს გადმოსახლებას დაუწყებენ... ქართველ ერის და მაშ ქართველი გლეხების წარმომადგენელნი (იგულისხმე ს. დ.) კლასთა ბრძოლაზე დაიწყებენ ლაპარაკს“... მოკლეთ, „ივერია“ ითხოვს, რომ ს. დ. დეპუტატებმა კლასთა ბრძოლაზე ლაპარაკს თავი დაანებონ და დუმაში შეეცადნენ, რომ ალაგმულ იქმნას „მეზობელ ერის ბურჟუაზია“ (განსაკუთრებით იგულისხმე სომხობის ბურჟუაზია). ასეთი უნდა იყოს მათი ეროვნული მისია. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ქართველი პატრიოტები („ივერიელნი“), ს. ფედერალისტები და სხვ. ქართველობისა და ეროვნების სახელით ემსახურებიან ანუ ცდილობენ ემსახურონ მარტო ბურჟუაზიას, მარა ისინი უკადრისობდენ ასეთ მხილებას და ცილის წამებას გვისაყვედურებდენ. ახლა კი თავის პირითვე წამოსცდათ, რომ მათი უმთავრესი სატკივარია „კლასთა ბრძოლაზე ლაპარაკი“ და „მეზობელ ერის ბურჟუაზია“; და რომ ამ მხრივ საქმის შველა „სამუდამოთ მოსპობს ეროვნულ ჩაგვრას და ეროვნულ ბრძოლას საქართველოში“.

აი ამასვე აბარებენ ჩვენ დეპუტატებს. უნდა გავუცხადოთ ქ-ნ „ივერიას“, რომ ასეთ ეროვნულ მასსიას ს. დ. დეპუტატები ახლოს არ გაეკარებიან და თუ გაეკარებიან ეს იქნება არა სასიკეთოთ. ესეც არ იყოს, უკანასკნელ არჩევნებზე, თფილისის გუბერნიიდან, აკი ერთი ს. ფედერალისტების დეპუტატიც გამოგოგმანდა; მაშ იმედია „ივერია“ და დანი მისნი თავის ბუნებრივ „ჟენიხს“ მიმართავენ.

## პროვინცია.

**ბაქო.** ჩვენ მივიღეთ გადასახლებულ ამხანაგთაგან შემდეგი წერილი:

ამხანაგებო! 17 მაისს ჩვენ ჩამოვედით ბაქოში მშვიდობიანათ. ბაქოში ჩვენ მოგვათავსეს გადასასახლებელთა ციხეში ქურდებთან ერთათ. ციხეში ჩვენ კარგათ გვიყვეთ. წამოსვლის დროს შეგხვდა ნაცნობი აფიცერი, რომელმაც უბრძანა ყველას, ჰატივისცემით მოგვეპყრობოდენ. გზაში მგზავრებისაგან მოგვივიდა მოგროვილი ფული 11 მან., პოლიტიკურ ტუსაღების სასარგებლოთ. ყველა სადგურებზე გვეგზავნიდენ პაპიროსებს და თან საჭმელებსაც. რაც შეეხება ბაქოს ციხეს, ამის შესახებ შემდეგს გიწერთ: აქ ჩვენ ძალიან ცუდათ ვართ. ბაქოს ციხეს აქვს სამი გზა ცალკ-ცალკე. პირველ გზაში ამყოფებენ ოცი ტუსაღი ქალი და რაგზაში მდებარეობენ ქურდები. მეორე გზაში სისხლის სამართლით დატუსაღებულნი 500 კაცამდე და მესამეში კი უკანასკნელი ტუსაღები 100. პოლიტიკურები ხელ ყველგან არიან 20 კაცამდე. ამათ რიცხვში შედიან არარქისტები, სოც.-რევოლიუციონერები და ორი კრონშტადელი მატროსი. დამოკიდებულება პოლიტიკურსა და სხვა კატეგორიის ტუსაღებს შორის მეტათ გაწყვეტილია. თუ ჩაუვარდა პოლიტიკური ტუსაღი ციხის ... ძალიან სცემენ და ხან კიდეც კლავენ ხოლმე. ამნაირი შემთხვევა არა ერთი და ორი იყო ამ ბოლო დროს. ამ ცამათ მოკლეს პოლიტიკურების დარბევას. სამანელი პროვოკაცია გარეულია ციხეშიც. ისე გვიცქერიან, როგორც მტრებს. ჩვენ 19 კაცამდე არ გვქონია მაინც და მაინც და მზათ ვართ წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ თავხედობას.

ჩვენ ყველამ, 14 კაცმდის ერთ ოთახში მოვათავსდით! დანარჩენები კი მეორე ოთახში არიან.

ამხანაგებო! ბაქოს ციხე მოგვაგონებს კატორგას. ჩვენ აქ ძალიან ცუდ პირობებში ვართ ჩაყენებული. საწოლი არა გვაქვს და იატაკზე ვწევართ. ხან ჯამებით მოაქვთ საჭმელი; ეს ხან ჯამები წააგავს სარეცხ ტაშტს.

როგორც გვითხრეს, ჩვენ გაგვგზავნიან 21—22 მაისს პეტროვსკში.

მოკითხვა ყველა ამხანაგებს ჩვენგან *).

*) ეს წერილი დაგვიანებულია. *რედ.*

**ხონი.** „ლამპარის“ № 30-ში მოთავსებულია წერილი ამხანაგ ილია ბახტაძისა „ხონის რაიონი“. რადგანაც ეს წერილი არა თუ არ გამოხატავს ხონის რაიონის ნამდვილ მდგომარეობას, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ამისათვის გთხოვთ, სიმართლის აღსადგენათ, მცირე ადგილი დაუთმოთ „ლამპარის“ მახლობელ ნომერში შემდეგს:

ამხანაგი ილია ბახტაძე „ლამპარის“ მკითხველთ რახით აუწყებს: „ხონის რაიონში მემამულეების წინააღმდეგ გაფიცვა უფლებრივათ და ნივთიერათ დაბეჩავებულმა გლეხკაცობამ წელსაც გამოაცხადაო“. უნდა ვთქვა, რომ ხონის რაიონში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. წელს გლეხებს, ადიხანოვის მეოხებით, გაფიცვის თავი არ ქონდათ და ვისაც უნდოდა სახნავ სათესი მიწა მორიგებით ათავებდა მემამულესთან საქმეს. ქვევით კორესპონდენტი ამბობს: „გაფიცვა—გამარჯვებით დაგვირგვინდაო“. სად, ამხანაგო ილია, ხონის რაიონში, თუ თქვენს ოცნებაში?.. გლეხებს თავიანთი მოთხოვნა, როგორც კორესპონდენტი გვეუბნება, მოუგიათ და სამუშაო მიწები სამუშვიდეულოთ და სამეცხრედოთ აუღიათ. რომ მეტი არ ვსთქვა ეგ ცოფები ზღაპრულია. ხონის რაიონში თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი გლეხებიც კი, რომლებსაც სამეოთხედოთ და სამეხუთედოთ აქვს აღებული მიწა. არ შეგიძლიათ, ამხანაგო ილია, ერთი გლეხი მაინც დაგვისახელოთ, რომელსაც სამეშვიდედოთ და სამეცხრედოთ ქონდეს აღებული მიწა? შემდეგ კორესპონდენტი ს. ლანჩხუთში გვიამბობს და იქ არსებულ გლეხკაცების „კავშირზე“ დიდი ამბით გველაპარაკება. რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, ამხანაგ ილიას შევეკითხებით: გაფიცვას ეძახის ის სამინდვრების გადაჭრას, პარტიის სახელით გასაფრთხილებელ წერილების გზავნას და სხვა ამგვარ მოქმედებას? ლანჩხუთში ასეთ „გაფიცვის“ ჩასაქრობათ ხონის ორგანიზაციამ კარგი ძალი ენერგია დახარჯა და, მგონია, ს. ნამ მოაწესრიგებდეს საქმეს—არა ერთსა და ორ ამხანაგს გამოისტუმრებენ იქიდან მექარით... ეს ამხანაგ ილიას კარგათ უნდა სცოდნოდა და მაკვირს რატომ ამახინჯებს ამ გვარათ ფაქტებს! დაბოლოს ამხანაგი ილია „სოფლის გახუნებულ ინტელიგენციასაც არ ივიწყებს და მათ წინააღმდეგ ბევრნაირ „ფრაზებს“ ქმნის. მინდა გკითხოთ: სად, როდის მოხდა ის, რასაც კორესპონდენტი გვიამბობს? დაგვისახელოს მის მიერ ათვალწუნებული ინტელიგენტები. ვიმეორებ: ხსენებულ წერილს, სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს—ის მხოლოდ ამხანაგ ილიას ოცნების ნაყოფია.

ამ წერილის დაწერა მაიძულა ზოგიერთ ამხანაგ მუშების შენიშვნამ: „ეგ ხომ სიცრუეა! და გაზეთებში ამგვარი ცრუ ამბების დაბეჭდვა როგორ შეიძლებაო!.. გლეხები ამ ჟამათ ძალიან ეტანებიან გაზეთებს და გულდადებით ათვალიერებენ ყოველგვარ წერილებს. მათ უნდათ ამოიკითხონ გაზეთებიდან მართალი ამბები, სინამდვილე. რაგინდ მწარე იყოს ეგ სინამდვილე, მას უფრო მეტი მკითხველი ეყოლება, ვიდრე უბრალო „ფრაზებს“.

*რუ—ილ.*

## არჩევნების შედეგის გამო.

ყველასათვის ცხადია, რომ არჩევნები ააშკარავებს იმ მოვლენასაც, თუ ვისკენაა საზოგადოების უმეტესობის თანაგრძნობა. დღევანდელი არჩევნები არსებულ პოლიტიკურ და პოლიციურ პირობების გამო, რასაკვირველია, არ არის სრული და სწორი, მაგრამ, თუ მიუხედავათ ამისა, რომელიმე მემარცხენე პარტია იმარჯვებს, ეგ ერთხელ კიდევ დამამტკიცებელია, რომ ხალხის მოთმინების ფიალა ავსილა და მას აღარ შეუძლია ისევ ძველ პირობებში ცხოვრება. ძველ დახავსებულ რეჟიმთან შერიგება და მემარცხენე პარტიებში ქეიფს ხ'ნას. სულ სხვა საკითხია, თუ რომელ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიას აძლევს ხალხის უმეტესობა საარჩევნო კენჭს. აქ კი ამა თუ იმ პარტიის გამარჯვება ყველაზე იმით აიხსნება, რომ მას საზოგადოების უმეტესობის თვალში ნდობა და სიყვარული დაუმსახურებია. თფილისში მით უმეტესათ ჩვენი გამარჯვება არ არის შემთხვევითი. თფილისის საზოგადოებას კარგათ იცნობს მუშათა პარტიას, მის მოქმედებას წარსულში, როგორც რევოლიუციონურ პარტიისას და რაღა გასაკვირველია, თუ მას მაინდო თავის წარმომადგენლობა. თფილისის ზოგიერთ უბნებში, სადაც უმეტესობა მუშებია, ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ იმ უბნებში კი, სადაც მუშებთან შედარებით წვრილი თუ მსხვილი ბურჟუაზია მეტი ცხოვრობდა, ამ უბნებში მუშათა პარტიის გამარჯვება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენათ აფასებდენ ეს უკანასკნელნი მუშათა პარტიას, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თფილისის ბურჟუაზიას თავისი კლასიური პარტიები ჰქონდა, „ორგანიზაციულათაც შეკავშირებული იყო, ასე რომ შეეძლო თავის პარტიებისთვის ნაღდი კენჭი და ს.-დემოკრატებისთვის ზურგი შეექცია; ამ უკანასკნელის გამარჯვებას მით უფრო მეტი ფასი და მეტი მნიშვნელობა ეძლევა. იმ უბნებში,, სადაც, როგორც ჩვენ ზევით ვთქვით, მუშები ძალიან ნაკლებათ ცხოვრობენ ბურჟუაზიულ-ნაციონალურ პარტიებს შეეძლოთ კავშირი გაეკეთებიათ და მუშათა პარტიასთან ბრძოლა გადაეწყვიტათ. მართალია კავშირი და შეთქმულობა მოხდა, მაგრამ ისე, რომ ამ კავშირთა პარტიებს სრულიათ არ ქონიათ გათვალისწინებული თავიანთი რეალური ძალები. ცხადია ასეთი კავშირი თავის თავათ ვერაფერი საბუთი იყო მისი გამარჯვებისა, თუ იგი რეალურათაც არ დაეყრდნობოდა რომელიმე კლასზე, საზოგადოების რომელიმე ნაწილზე. ასეთი კლასი, ასეთი ნაწილი საზოგადოებისა კი შედარებით მცირე აღმოჩნდა...

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ყველა მემარცხენე პარტიათა შორის გამარჯვება წილათ ხვდა სწორეთ სოციალდემოკრატიას, ამის ერთი მიზეზთაგანია ამ პარტიის პოზიცია ეროვნულ საკითხში. ყველამ კარგათ უწყის, რომ კავკასიაში, სადაც ასე გამწვავებულია ეს საკითხი, სოციალდემოკრატიაა ერთათ-ერთი პარტია, რომელიც თავ-გამოდებული ესწრაფის ყველა აქ მოსახლე ერების სრულ თანასწორობას *). აი, ამან მიანიჭა გამარჯვება სოციალდემოკრატიას.

*მეფელი*

*) მეექვსე საპოლიციო ნაწილში თათრებმა პირდაპირ განაცხადეს, ჩვენ მხოლოდ იმ პარტიას ვაძლევთ ხმას, რომელიც სოცვა-ვლეტის დროს ჩვენს შესარიგებლათ არაფერს არ ზოგავდაო.

## მ უ შ ა თ ა   შ ო რ ი ს

**რკინის გზა.** მეფობს სახელმწიფოს ხელში მოგროვილი მსხვილი კაპიტალი, მეფობს რკინის გზა, მეფობენ ბობოლა მსხვილი მოხელენი, რკინის გზის უფროსიდან დაწყებული სადგურის უფროსამდის; როგორც პირველია ბატონ-პატრონი მთელი გზისა, ისე მეორე—სადგურისა. ერთი მხრით წვრილი მუშა-მოხელენი, მეორე მხრით—ჩინოვნიკები: კანტროლიორები, რევიზორები და ყველა მუქთა-ხორები, რომელნიც ძღებიან პირველთა ნაოფლარით, მათ მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულების ნაყოფით. ერთ ბანაკში მუდამ შრომა, მუდამ შიმშილი, მეორეში ფუფუნება და ლხენა, აი, ამ ორ მოწინააღმდეგე კლასთ გაეთ რკინის გზის მოსამსახურენი არსებულმა მსხვილმა წარმოებამ, ამათგან ერთის დამარცხება მეორეს გამარჯვებას გამოიწვევს.

ვინ გაიმარჯვებს? რასაკვირველია ის, ვინც უფრო შეკავშირებულია ორგანიზაციულათ და ერთ სულოვნათ მოქმედებს.

თუმცა შრომას განაწილებამ წვრილ მოხელეებსაც გაუნაწილა შრომა, თითეულს ნაწილი მიანდო, ყველა კი საერთოთ ერთ დიდ მოვალეობას ასრულებენ, მაგრამ ამ საერთო მოქმედებას ისინი ვერ ამჩნევენ შრომის განაწილების დროს, გონიათ, თითქოს თითეული თავისათვის შრომობდეს, ისინი თრთიან და ძიგძიგობენ ყოველი უფროსის წინაშე, ყოველი ბრძანება მათ სამსახურიდან გაგდებას უქადის, მათ კიდევ სწამთ ლაქუცით და ქრთამებით თავის პატრონების წინ წამოწევა და დაწინაურება. ყველა დარგში უმეტესი ნაწილი კანტორჩიკებისა და ტელეგრაფისტებისა გაურბიან შეერთებას და ორგანიზაციას, საზოგადო პროგრამა თავისივე სფერაში მათ არ აინტერესებს. ძველი აგონებს, ახლის შეთვისება ეძნელებათ, როცა მთელი რუსეთი და კავკასია რევოლიუციონურ ცეცხლშია გახვეული, ზემოთ დასახელებული მოხელენი ყურსაც არ იბერტყავენ და ძველ დახავსებულ ფარგლებში მუშაობას განაგრძობენ. თქვენ, წვრილო მოხელენო! ლაქუცობა და ქრთამები ვერ გიხსნით, ეგ დამცირება თქვენი თავმოყვარეობისა, გამოფხიზლდით ყველა და კეთილსინდისიერათ დაიცავით კავშირის ინტერესები და ფართო ორგანიზაცია, შეუერთდით პროლეტარიატის პარტიას, ის გაგიწევთ დახმარებას.

*იესი*

## კავკასიის ამხანაგობის პირველი სააფთიაქოში.

სულ ქქსი თვის წინათ, აღნიშნულ საპარიკმახეროს კამკა-ბატონება უბრალო ქარგლები იყვნენ. ისინი თავის ზურგზე გრძნობდენ ადიხაზეინების თავკასულობას, „ზრდილობიან მოპყრობას“, ხშირათ ცემა-ტყეპასა და სხვა ძალადობასაც. მაგრამ ეს ქქსითვე თუკი თვითონ ხადეს სახელოსნოს მართვაში, თითონ გახდენ სხვების ბატონები და ძველი შეგირდობის დროინდელი გამოცდილება კამლიყით გაქრა. ექსი თვის წინათ ჩაგრული, ახლა თითონ მჩაგვრელი გახდა. ასეთია ადების ბუნება.

აღნიშნულ საპარიკმახეროს ქარგად შეგირდებმა გუშინ (1 ივნისი) გაფიცვა გამოუცხადეს საამხანაგო საპარიკმახეროს. გაფიცვა არავისათვის სასიამოვნო საქმე არ არის და როდესაც ისედაც გაჭირვებული წვრილი ხალხი იფიცება, ცხადია დიდი რამ საჭირო აძულებს ასე მოიქცეს. არც ჩვენი „ამხანაგობის“ ქარგალ-შეგირდებს ადგათ კარგი დღე. თითო შეგირდი დღეში თითო აბაზს იღებს ჯამაგირს და ეს „ჯამაგირი“ უნდა იმყოფინოს ყველაფერში. საჭმელი, სასმელი და ხშირათ ბინაც ამ ჯამაგირში შედის. „ამხანაგობის“ კამკებს ეს ჯამაგირი დიდ შემოსავლათ მოეჩვენებათ და კიდევ „შტრაფები“ შემოუღიათ თუ ცოტათი დააგვიანდა შეგირდს, „შტრაფი“, თუ სხვა რამ დააშავა, „შტრაფი“ და მერმე ამ „შტრაფებით“ შეგროვილ „თანხას“ თითონ ხმარობენ საჭიროების მიხედვით. არც ქარგლები არიან უკეთეს პირობებში. 30 მანეთი თვიური ჯამაგირი ყველა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, მით უმეტეს, რომ „შტრაფი“ ამათაც ისე ეხება, როგორც შეგირდებს. არც მოპყრობა არის ზრდილობიანი.

აი ამ პირობებმა აიძულეს „ამხანაგობის“ მოსამსახურენი გაფიცვისათვის მიემართათ და შემდეგი მოთხოვნილებანი წამოეყენებიათ: 1, მუშაობის დროს ხაზეინებსა და ქარგლებს შორის კარჩევა ნუ იქნება. 2, როგორც სხვა საპარიკმახეროებშია, აქაც დაარსდეს ნაჩრი (მანეთზე ხუთი კაპეიკი) მოსამსახურეთა სასარგებლოთ ჯამაგირს გარეშე. 3, შაბათობით ეძლეოდეს ვახშამი ან სავახშმო ფული. 4, ზრდილობიანი მოპყრობა. 5, ჯარიმის სრულიათ მოსპობა. 6, თითოულ ქარგალს უნდა ეკითხებოდეს თავისი საქმე და არა სხვისი. 7, შეგირდებს უნდა ეძლეოდეთ პურის ფულათ 30—40 კაპ. დღეში. 8, შეგირდებს უნდა ეძლეოდეს ბინა და ტანსაცმლის ფული, აგრეთვე აბანოს ფული თვეში ერთხელ. 9, გაფიცვის დროს უნდა გვეძლეოდეს სრული ჯამაგირი.

## რ უ ს ე თ ი

პოლკოვნიკის „მოღვაწეობა“. ამას წინათ გამოსულა ვიღაც ვლადიმიროვის წიგნი შემდეგ სათაურით: „ლეიბ-გვარდიის სემიონოვის პოლკის დამსჯელი ექსპედიცია მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე დეკემბერში“. ამ წიგნში აწერილია ერთი „სატრაპ“-თაგანის, ზემოხსენებულ რაზმის უფროსის, პოლკოვნიკ რიმანის „მოღვაწეობა“. იმ გულშემზარავ ფაქტებს, რომელნიც წიგნშია მოყვანილი, გაზ. „ვოენნი გოლოს“-იც კი აუშფოთებია. გაზეთი მოითხოვს პოლკოვნიკისაგან,—როგორც სამხედრო მუნდირის მატარებელმა, როგორც აფიცერმა, მან ეს საშინელი ბრალდება უკუაგდოს: მაგ., სადგურ პეროვოზე პოლკოვნიკს უბრძანებია სადგურის უფროსის თანაშემწე ლარიონოვის დახვრეტა. ლარიონოვისათვის არავითარი ბრალდება არ წარუდგენიათ. გამოუყვანიათ სადგურის შენობიდან და რიმანის ბრძანებით ხიშტებით მიუქედიათ ბოძზე; შემდეგ რიმანს საკუთარის ხელით უსვრია მისთვის რევოლვერი შუბლში. საკუთარი ხელით დაუხვრეტია რიმანს აგრეთვე ივანე ოვოდოვი, როდესაც ამ უკანასკნელს უთხოვნია—ზრდილობიანათ მოგვეპყარით. „ვოენნი გოლოს“-ი ასე ათავებს თავის მიმართვას რიმანისადმი: „თქვენ ჩვენების ჩამოურთმევლათ დაგიხვრეტიათ 150-მდე კაცი; ამასთან, ორი მათგანი, კოლომნის ქარხნის მუშა სტოპჩუკი და სტუდენტი ალექსანდრე სამოქიაოვი—შეცდომით მათი ძმების მაგიერათ დაგიხვრეტიათ. საჭიროა ზემოხსენებულ ბრალდების მოყვანა, რომ თქვენ, სამხედრო მუნდირის მატარებელს შემდეგი სიტყვებით მოგმართოთ: „პოლკოვნიკო რიმანო, თქვენ საჯაროთ ბრალსა გდებენ ჯარის უფროსისათვის სამარცხვინო საქმეში: თქვენს პიროვნებაში უკანონო მოსამართლისა და ჯალათის როლის მოთავსებაში... გაიმართლეთ თავი!“.

ამ პოლკოვნიკის შესახებ „ვოლნა“ ამ...

ბობს: „ის ერთი არ არის. უსაზღვრო რიცხვი რიმანებისა გამეფებულია ეხლა რუსეთში. მათი სახელები არ უნდა გაქრეს, მათი სახელები კარგათ უნდა დავიმახსოვროთ: ეს სახელები ზრდიან სიძულვილს შეუზღუდავ, საზიზღარ ძალმომრეობის მიმართ, რომელიც ქანჯნის ეხლა რუსეთს. ხალხი უნდა იცნობდეს, ხალხმა უნდა დაიმახსოვროს რიმანების სახელი".

**აგრარული მოძრაობა.** მოსკოვის ბირჟას მიუღია ვოლგიდან ცნობა—აქ გლეხების მოძრაობა იწყებაო.

ორიოლში მომხდარა შეტაკება გლეხებსა და კაზაკებს შორის; გლეხები თურმე თავის პირუტყვს თავის ნებით მემამულე ვოეიკოვის მინდვრებზე აბალახებდენ. მოკლულია 1 გლეხი, დაჭრილია ერთი გლეხი და ერთი კაზაკი.

სადგურ ატკარსკში გლეხები პურს იტაცებენ.

პრუსანსკის უეზდში (ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში), ლევკოვირის მამულში გლეხებს „უწესოება" მოუხდენიათ. ვიცე-გუბერნატორმა, სიერო მცველების დახმარებით დააცხრო (!) გლეხები; „ამ დაცხრობას" რამოდენიმე მსხვერპლი მოყვა.

ტირასპოლის, ანანიევისა და ელისავეტგრადის მაზრაში გლეხები მართავენ მიტინგებს, რომლებზედაც იხილავენ ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას საზოგადოთ და აგრარული საკითხის სვე-ბედს სათათბიროში. გლეხებს წინადადება ეძლევა გამართონ სამაზრო საოლქო კრებები. ურიადნიკი დამცველები ნადირობენ ასეთ მიტინგებზე. ამას წინათ ტირასპოლის მაზრაში დაიჭირეს 11 გლეხი, რომელთაც ვერ მოასწრეს გაქცევა. მსხვილ ეკონომიებში იზრდება გაფიცვები.

**ამბოხება ჯარში.** „ნარ. ვესტს". შემდეგი დეპეშა მიუღია კურსკიდან 24 მაისს: დივიზიის გენერალმა უარი განუცხადა უმთავრეს მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ჯარის კაცები უწინდებურათ უარს ამბობენ ქალაქში ყარაულათ გასვლაზე.

— ამ უკანასკნელ დროს პეტერბურგის ჯარის კაცების დაპატიმრება გახშირდა. მაგ; კავალერგარდის პოლკში დაატუსაღეს 3 უნტერ-აფიცერი; ყაზარმა გაჩხრიკეს; მე 18-ტე საპიორის ბატალიონში დაატუსაღეს 2 უნტერ-აფიცერი აგრეთვე პრეობრაჟენსკი პოლკში; მრავალ ჯარის კაცებს სრულებით არ უშვებენ ყაზარმიდან ქალაქში.

**ამბოხება ფლოტში.** „სლოვო" იუწყება საიმედო წყაროებიდან, რომ ამ ორი კვირის წინ კრონშტატში მატროსებს შორის არეულობა მოხდა; ეს არეულობა გამოიწვია კრეისერ „გრომობოის" რამოდენიმე მატროსის დრაგუნის აფიცერთან შეტაკებამ. მატროსებმა გამართეს მიტინგი, რომელზედაც გამოიტანეს რეზოლიუცია დრაგუნების ციხიდან გაყვანის შესახებ. 8 მეთაური მატროსი დაუტუსაღებიათ.

— შავი ზღვის მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. ყოველ-დღიური ზარალი ასის ათასობით ითვლება. გემებს გაძლიერებული რაზმები იცავს. ორი კვირაა რაც პორტის მუშები შიმშილობენ.

**გაფიცვების გახშირება.** მოსკოვსა და პოლონეთში გაფიცვები ძლიერ გახშირდა. გაფიცვებს ეკონომიური ხასიათი აქვს.

## რუსეთის პრესა

ხულიგანურმა მთავრობამ და მას დამქაშებმა ნიადაგის მომზადება დაიწყეს სათათბიროს დასაშლელათ და ენერგიულ აგიტაციას ეწევიან ჯარში და გლეხობაში. მთელი ჟურნალ-გაზეთობა შეშფოთებულია იმ ცინიკურ საშუალებებით, რომელსაც მთავრობა ხმარობს ხალხის გონების დასაბნელებლათ. ამის გამო აი რას ამბობს „ნაშა ჟიზნი":

„რეაქციის ბნელ ძალებს არ სძინავთ. ისინი მცხოვრებლებში ეწევიან ენერგიულ აგიტაციას დუმის წინაალმდეგ და, ჩვეულებრივ, არ ერიდებიან არავითარ საშუალებებს. ზოგჯერ ვრცელდება ხმა სოფლებში, რომ სათათბიროს წევრები მოსყიდული ხალხია და ამიტომ არის, რომ მიწების საკითხს გლეხების სასარგებლოთ არა სწყვეტენო. ჯარში რეაქციონერ-აგიტატორები ცდილობენ აამხედრონ სალდათები სათათბიროს წინაალმდეგ და ცდილობენ დააჯერონ, ვითომც სათათბირო თხოულობდეს სამსახურის ვადის გადიდებას არმიაში და ფლოტში. პოლიტიკურათ განვითარებულ მასაში, რომელიც სათათბიროსაგან საჭირბოროტო კითხვების გადაჭრას გამოელის, რა თქმა უნდა, ამნაირ ხმებს ექნებათ გასავალი როგორც ახსნას მისთვის გაუგებარ სათათბიროს „უმოქმედობისა". ეს მასსა იმასაც კი დაიჯერებს, რომ სათათბიროს არ სურს ხალხის სასარგებლოთ რაიმე გააკეთოს; ის თავისებურათ გაიგებს სათათბიროს საუკეთესო განზრახვებს, რადგან არ ესმის, საითკენ მიილტვის ის".

როგორ უნდა მოიქცეს სათათბირო, რომ მთავრობის ეს ვერაგული ოინი გააბათილოს? ამ კითხვის შესახებ ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი „ლამპრის" ფურცლებზე. გავიმეორებთ, რომ განსაცდელიდან სათათბიროს იხსნის მხოლოდ მჭიდრო კავშირი ხალხთან და გულწრფელი ბრძოლა მთავრობასთან ხალხის განსათავისუფლებლათ. ამისათვის საჭიროა სათათბირო გადაიქცეს მთელი ერის საგიტაციო ტრიბუნათ.

* * *

„ნაშა ჟიზნ"-ში ს. პროკოპოვიჩი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამ გაზაფხულის აგრარულმა მოძრაობამ უფრო მკრთალათ ჩაიარა, ვიდრე წარსულ შემოდგომის მოძრაობამ, და ცდილობს გამოიკვლიოს მიზეზი ამ შესუსტებისა. პირველი მიზეზი, ავტორის აზრით, არის დამსჯელ რაზმების მოქმედება. ავტორს მოყავს მრავალი დამასაბუთებელი ფაქტი გლეხებსა და კაზაკებს შუა ბრძოლისა. მაგრამ ყველაზე უმთავრეს მიზეზს აგრარულ მოძრაობის შესუსტებისას ავტორი ხედავს კლასიურ ბრძოლაში, რომელმაც სოფელშიაც იჩინა თავი:

„აგრარულ მოძრაობის შესუსტების უფრო მთავარი მიზეზი არის სხვადასხვაობა ინტერესებისა, რომელმაც გლეხობაში იჩინა თავი. თუ მთელი გლეხობა არა, მისი დიდი უმეტესობა მაინც მტრულის თვალით უყურებს მიწის კერძო მფლობელობას. ამიტომ, სანამ მოძრაობას მხოლოდ წოდებრივი ხასიათი ქონდა, მთელი გლეხობა ძმურათ მიდიოდა, განხეთქილებას არ ეჩინა თავი. მაგრამ სადაც გლეხობამ გაიმარჯვა და გამარჯვების ნაყოფით სარგებლობაზე მიდგა ჯერი, გლეხობაში მაშინვე ღრმა ანტაგონიზმმა იჩინა თავი. როცა გლეხები ან ტყეს კაფავდენ, ან მებატონეების ეკონომიებს იტაცებდენ, მდიდარი გლეხები ორი ურმით წავიდოდენ ტყის და ხანოვაგის წამოსაღებათ, საშუალო გლეხები ერთი ურმით, უცხენო და უსახლკარო გლეხი კი ტომარას გადიკიდებდა მხარზე და ისე მიდიოდა. ამნაირ გაყოფის წინაალმდეგ რაღა თქმა უნდა, უნდა ამხედრებულიყვენ ყველაზე ღარიბი გლეხები. იქ, სადაც „თანაბრათ" ინაწილებდენ, ყველას, მდიდარს და ღარიბს, ერთნაირი ნაწილი ხვდებოდა და ღარიბი გლეხები მაინც გულნაკლული რჩებოდენ. საცა საიჯარო ურთიერთობის მოწესრიგებაზე მიდგებოდა საქმე და სადაც „თანაბრათ" ინაწილებდენ მიწას, იქ მდიდარ გლეხების, ძველ მესაკუთრეების ინტერესები ილახებოდა. სადაც საიჯარო ფასები იკლებდა, მდიდრები ღარიბებს სტაცებდენ მიწას. სადაც წართმეულ კერძო მიწების განაწილებაზე მიდგებოდა საქმე, მდიდარი გლეხები მეტი მიწის ჩაგდებას ცდილობდენ ხელში. თუ „თანაბრათ" გაინაწილებდენ, მაშინ ილახებოდა ინტერესები როგორც მდიდრების, ისე ყველაზე ღარიბების, რომლებსაც საქონელი არ ყავდათ და 1—2 დესეტინაზე მეტს ვერ დაიმუშავებდენ. სადაც მიწა კერძო გლეხების ხელში გადავიდოდა, იქ იქელებოდა სოფლის პროლეტარიატის ინტერესები, რადგან სოფლის მუშები მსხვილ ეკონომიებში დაქირავებით შოულობენ ლუკმა პურს... ერთი სიტყვით, გამოჩნდა, რომ გლეხობა არ წარმოადგენს ერთს მთლიან ერთეულს, რომ სხვადასხვა წრის გლეხებს სხვადასხვა ინტერესები აქვთ, აქედან გამომდინარეობს შეტაკება, რომელიც ერთმანეთის ჟლეტამდის მიდიოდა, პარტიათა შუა ბრძოლა სოფელში, ცეცხლის წაკიდება და სხვა".

გარდა ამ მთავარ მიზეზისა აგრარულ მოძრაობის შესუსტებაზე იმასაც ქონდა მნიშვნელობა, რომ ქალაქის მუშებში მოძრაობა შეჩერდა. დიდი გავლენა ქონდა აგრეთვე სათათბიროს მოწვევას. გლეხები გულის ფანცქალით ელოდებოდენ, რომ სათათბირო მისცემს მათ „მიწას და თავისუფლებას". თუ გლეხებს ეს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდათ, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, სოფელში გაათკეცებული ძალით იფეთქებს მოძრაობა.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას გადაუწყვეტია გამოსცეს პარტიული ორგანო. ამდრომდის მათ არ ქონდათ ეს ორგანო და მით ძალიან შეწუხებულნიც იყვენ, მეტადრე არჩევნების დროს. ამ საქმის ინიციატორი არის მორტიმერ გალდენ, რომელიც ამ დრომდის თანამშრომლობდა გაზ. „დეილ მეილ"-ში და განაგებდა „მუშათა ცხოვრების" განყოფილებას. გაზეთს გამოსცემს კერძოთ ამისთვის დაარსებული კომიტეტი, სადაც შედიან ინგლისის მუშათა პარტიის ბელადები, როგორც მაგალითათ: გაველოკი, მადსონი, ბენი, ტილერი და სხვები. სახელათ ერქმევა „უმრავლესობა" ეს სახელი იმას ნიშნავს, რომ მუშები ინგლისში შეადგენენ უმრავლესობას, და, მაშასადამე, პარლამენტშიაც უმრავლესობას უნდა შეადგენდენ. ეს სახელი, როგორც ჩანს, შეადგენს გაზეთის პოლიტიკურ პროგრამასაც. შემოსავალი გადაიდება პარტიის სასარგებლოთ, განსაკუთრებით არჩევნებისთვის.

ჩვენც ვუსურვებთ წარმატებას ჩვენი ამხანაგების ორგანოს.

**იტალია.** სოციალისტების 23 მა დეპუტატმა უარი განაცხადეს დეპუტატობაზე ნიშნათ პროტესტისა იმ რეპრესიების წინაალმდეგ, რომელიც იხმარა მთავრობამ ტურინის გაფიცულების წინაალმდეგ. მოხდა მათ მაგიერ დეპუტატების არჩევა. აირჩიეს 20 სოციალისტი და 3 ლიბერალი. ამნაირათ უკიდურეს მემარცხნეებმა დაკარგეს 3 ხმა თავისი უტაქტო მოქმედებით.

**„ფორვერტს"-ი და კადეტები.** გაზეთ „რუსსკოე სლოვო"-ში ვინმე გოინოვს მოყავს გერმანიის მუშათა პარტიის ცენტრალურ ორგანოს აზრი რუსეთის კადეტებზე. ამ აზრს და საზოგადოთ ამ გაზეთის ჭეშმარიტ შეხედულებას რუსეთის რევოლიუციაზე და სათათბიროზე დიდი გავლენა მოუხდენია ბ. გოინოვზე. ის პირდაპირ აღიარებს: „ჩვენ რუსებმა პირდაპირ დიდის ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ყოველიკე სიტყვას გერმანიის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის პუბლიცისტებისას და მეთაურებისას, მათი ცენტრალური ორგანო „ფორვერტს"-ი, ყველა ბურჟუაზიულ გაზეთებზე უფრო ნათლათ არკვევს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობასო და სხვა".

შემდეგ მას მოყავს ამ გაზეთში მოთავსებული „რუსული წერილის" შინაარსი, რომელიც ეხება კადეტების რევოლიუციონერობას და ამის შესახებ შემდეგს ამბობს:

„ბატონო კადეტებო, მითხარით მოწყალება და დაგვიმტკიცეთ, როგორ ხდება მშვიდობიანი გზით რევოლიუცია? დაგვიმტკიცეთ, როგორ შეიძლება დაამარცხო თვითმპყრობელობა ლეგალური ფრაზებით, „რეალური პოლიტიკით", და რეზოლიუციებით? შეიძლება თქვენ მოახდინოთ ისეთივე სასწაული, როგორსაც ახდენდა მომღერალი ორფეი, რომელიც სიმღერით გარეულ მხეცებსაც კი აშოშმინებდა?

თქვენ ამბობთ, რომ ძალადობაში არაა საქმე, ბარიკადებით ბრძოლა დაძველდა, აჯანყება უდროის ანარქიას და რევოლიუცია—ბოროტ-მოქმედებას. კარგი. ავიღოთ დღევანდელი მაგალითი: თქვენ წინ დგას სახელმწიფო სათათბირო სალდათებით გარშემორტყმული; მთელი მხარე შებორკილი, ციხეები ტუსაღებით გავსებული, ათასი სიკვდილით დასჯილი, ათასი გადასახლებული, დამწვარი, ნაწამები და გაძარცული. დაიხსენით ისინი? თუ ყველა ეს თქვენთვის არ არის საკმარისი, მიმოიხედეთ გარშემო. მთელი მხარეები განადგურებულია, მთელ გუბერნიებში მძვინვარებს შიმშილი, ტიფი და სხვა მაგვარი უბედურება; მთელი ფაბრიკები, ზავოდები და ტეხები უმოძრაოთ არიან, ათი-ათასობით უადგილოთ დარჩენილნი თხოულობენ პურს და სამუშაოს. აბა, ბ-ნო კადეტებო, გამოდით სცენაზე და მოახდინეთ თქვენი სასწაულები: მიეცით გლეხს მიწა, მუშას პური და ხალხს თავისუფლება. დააჩუმეთ ზარბაზნები, მოსპეთ წამება, დაანგრიეთ ციხის კედლები. იმღერეთ თქვენი მომაჯადოებელი სიმღერა კანონიერებაზე, მშვიდობიან პროგრესზე და რეფორმებზე. შეიძლება ამ სიმღერამ გასჭრას: სატიროს ქვები და პოლიციამ მობანოს ცრემლები ატირებულთ და თქვენ შეგამკოთ გვირგვინებით და დიდებით".

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი პატივცემულ გაზეთის მე-28 ნომერში საზიზღარს ცილს მწამებს თქვენი კორესპოდენტი ბ-ნი კასიო. ამისთვის გთხოვთ უმორჩილესათ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს გაზეთში, რათა აღდგენილ იქნას სიმართლე და შეცდომაში შესულს მკითხველს შეძლება მიეცეს გაიგოს სინამდვილე და ნიღაბი აეხადოს ურცხვს და უმზგავსო ქცევა-ს ხსენებულ კორესპოდენტისას.

კორესპოდენტი ბ-ნი კასიო ამბობს: გურიაში შესდგა შავი რაზმის ჯგუფი პროპაგანდისტ-აგიტატორებისა, ესენი გახლავთ ბ-ნი ნიკოკი და მისიონერი მელქისედეკიო. ეს ორი ვაჟბატონები ხელიხელ გადაბმული დადიან სოფლიდან სოფელში და პროპაგანდას ეწევიან. აი ნიმუში მათი ქადაგებისა: ...ტრიბუნაზე ადის ახლათ გამომცხვარი მისიონერი მელქისედეკი და ამბობს: ვხედავ, რომ ქრისტიანობა სუსტდება, ეს სულ სოციალდემოკრატების ბრალია; დაემორჩილეთ ეკლესიას, მთავრობას და ბ-ნ ნიკოკის; ზურგი აქციეთ სოციალდემოკრატებს" და სხვ... „ბნელი ძალების მოტრფიალენი კი ტაშისცემით ეგებებიან, ხოლო ხალხი კი სდუმსო".

ბ-ნო კასიო, როდის მნახე თქვენ ხელი-ხელ ჩაკიდებული რომ დავდიოდი ნიკოკისთან და მის თანამხლებ სტრაჟნიკებთან და რომელი ალაგი შეგიძლია დამისახელო, რომ ჯერ ტრიბუნაზე ნიკოკიმ ილაპარაკა და შემდეგ მე დავსძინე, რომ მაგისი ისმინეთ მეთქი. მე ჩემს დღეში ნიკო თაყაიშვილი, კრილოვი, ტატიანჩენკო და მგელაძეები არსად ეკლესიაში არ მინახავს და არც სტრაჟნიკებით სადმე წასულვარ და საიდან შეთხზეთ ასეთი მტკნარი სიცრუე?

მე ვარ ღრმა მორწმუნე კაცი, თან შესწავლილი მაქვს სამღვთოწერილი და საეკლესიო გალობა. მუდამ ეკლესიაში დავდივარ და ხალხს ვუქადაგებ ნამდვილ ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

ამ უკანასკნელ ხანებში გახსნეს ქართული კათედრა და მე დამნიშნეს მისიონერათ. ახლა პირდაპირი მოვალეობა არის ჩემი—ქადაგება და ქრისტეს სარწმუნოების ახსნა ხალხში. სადაც შემთხვევა მომეცა და ვიქადაგე—ყოველგან ხალხი ნასიამოვნები დარჩა. ამაღლება დღეს, წირვის შემდეგ ხალხი ლოცვით და ქება-დიდებით მიხსენიებდა და მადლობას მეუბნებოდა გალობისა და ქადაგების წარმოთქმისთვის. მაშ ვიღა სდუმდა? ალბათ თითონ მოშურნე კასიო თუ სდუმდა, როგორც პირადი ინტერესების მქონე ჩემთან.

თქვენ მიკიჟინებთ, ბ-ნო კასიო, ვიტყესავით ახალ გამომცხვარ თავადობას და ნაბერალ-ნაუჩიტელარ და ნაპრიჩეტნიკალს მეძახით. ვიტეს წინაპარნი არასოდეს არ ყოფილა გრაფები, მაგრამ ჩემი წინაპარნი, ქრისტეს განხორციელებამდის თავადები იყვენ, ხოლო თუ რომელიმე თავადებმა მოინდომეს მამული და გვარი წაერთმიათ ჩემთვის, ეს იმიტომ, რომ დედა ჩემი გლეხის ქალი იყო და მე ხუთი წლის დავეობლდი. მერე რა ვუყოთ ყოველივე კანონიერი გზით დავიბრუნე. მამული ნახევარი ჩემს გამზდელ გლეხებს მივეცი, მეორე ნახევარიც იმათ ხელშია და მე არას ვსარგებლობ, მე მარტო ნალოგები შემაქვს ხაზინაში და მარტო მქვია მემამულე. ამასთანავე მოგახსენებ, მე ნაბერალი არ გახლავარ, მხოლოდ ათონის მთაზე ბერებში კი ვიყავი მგალობლათ და მწივნობართა უხუცესათ და სამაგალითოთაც დავაყენე მონდობილი ჩემდამო საქმე (იხილე პეტრე ეპისკოპოზის წიგნი, მოგზაურობა ათონის მთაზე). ხოლო ურიტლობა და პრიჩეტნიკობა თუ სირცხვილი იყო, ამ დრომდის არ მცოდნია. 1878 წ., როცა თფილისში საუკეთესო გალობის მცოდნე ლოტბარს ეძებდენ, ეს მე მხვდა წილათ და სემინარიაშიც მასწავლებლათ ვიყავი, აქ გასაკვირი მგონი არაფერი უნდა იყოს.

ბ-ნო კასიო, თქვენ ბრალსა მდებთ კრილოვის ჯარის დახმარებით „ეწევა პრაპაგანდასაო", როდის მნახეთ, რომ მე ჩაფარი ან ჯარი დამყვებოდა? ნუ თუ ისე საშიშია ქრისტეს სჯულის ქადაგება, რომ მცველებია საჭირო? ან და შეიძლება ფიქრობთ, ვცდილობდე მთავრობას ვასიამოვნო და ხალხის ინტერესები დავგმო? სრულიადაც არა. მე მუდამ ყველა უკანონო ქცევის წინაალმდეგი ვიყავი და ვარ. აი მაგალითი: კრილოვმა გურულები დაასმინა უმაღლეს მთავრობასთან: ეკლესიაში გურულები პაპიროსს ეწევიან, სამასხაროთ იგდებენ და ჯანჯუხას ანთებენ ეკლესიაში სანთლის მაგიერათო. ამაზე მე მთელი მოხსენება წარვუდგინე ქუთაისის ყოფილ გუბერნატორს ბ-ნ ოსეცკის, რომელშიაც ვამბობდი პოლკოვნიკი კრილოვი ჯაშუშების რჩევით ატყუებს მთავრობას და ყალბ ცნობებს აძლევს გურულებზე მეთქი. აგრეთვე ნახეთ ჩემი მიწერილი წერილები გრაფ ვარანცოვის მეუღლესთან, ბ. ორბელიანთან, ალიხანოვ-ავარსკისთან და ოსეცკისთან, როცა დამსჯელი რაზმები იგზავნებოდა ქუთაისის გუბერნიაში, როგორ ვამართლებდი გურულებს და ისტორიულათ ვუმტკიცებდი მათ ვინაობას: აგრეთვე პირველათ და მეორეთ ჯარის დაბრუნებაში გურიიდან, რამდენი ღვაწლი და შრომა მაქვს მიღებული, რამდენი ტყვე გაანთავისუფლეს ჩემის შუამდგომლობით და თავდებობით. მთელმა გურულებმა იციან, რომ როცა ხიდისთავის ასაოხრებლათ ჯარი გაემგზავრა ოზურგეთიდან, მაშინვე ქუთაისში წავედი და ისევ გუბერნატორის ოსეცკის დახმარებით ალიხანოვს ტელეგრამა გამოვაგზავნიე და წასული რაზმი ნაგომარიდან დავაბრუნებიე და ხალხს განსაცდელი ავაშორე. ბოდიშს ვითხოვ მკითხველის წინაშე, რომ თავის ქება არ არის საკადრისი, მაგრამ მაიძულა ბ-ნ კასიოს შეთხზულმა ჭორებმა ყოველივე ეს მეთქვა.

ამ ზემო ჩამოთვლილი ჩემი მოქმედების შემდეგ განა შემეძლო მეთქვა და ან მექნა რამე ხალხის საწინაალმდეგო? მე დარწმუნებული ვარ ჩემზე კარგი მეგობარი ხალხს არავინაც არ უნდა ყავდეს, მაგრამ ნათქვამია, ავი კაცი აღდგომასაც ავიაო. ალბათ ბ-ნ კორესპონდენტს პირადი ინტერესები ჩემზე ათქმევინებს ყოველივე ამას, მაგრამ მკითხველი ადვილათ დაინახავს კორესპონდენტის სიყალბეს და სიცრუეს და საკადრის მსჯავრს დასდებს.

გურია-სამეგრელოს მისიონერი
მელქისედეკ ნაკაშიძე.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

30 მაისი.

**კიევი.** სამხედრო-საოლქო სასამართლოში დასრულდა საქმე პოლკოვნიკ ნომიდოვის და ერშოვის, კაპიტან სავკინის, შტაბს-კაპიტან სმარნოვის და პრაპორშჩიკ ამოსოვის. ყველა ამათ ბრალდებათ უმოქმედობა 1905 წ. 11 ოქტომბერს მომხდარ სამხედრო ბუნტის დროს. გარდა ამისა ნემიდოვს და ერშოვს აბრალებენ უყურადღებობას მათ ხელქვეითებზე, სმარნოვს—უსამართლოთ დასჯას თავის ხელქვეითისას და ამოსოვს—თავის მოვალეობის შეუსრულებლობას მორიგეობის დროს. ნემიდოვი და სმარნოვი გამართლეს, ერშოვს და სავანს გადაუწყვიტეს სამი თვის გაუპტვახტი ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევით. ამოსოვს გადაუწყვიტეს ერთი თვის გაუპტვახტი.

31 მაისი

**პეტერბურგი.** პასუხის გებაში მიცემული არიან მუშათა დეპუტატების მოწოდების დაბეჭდვისათვის გაზეთები „გოლოსი", „ეპურიერი" და „სოვრემენაია ჟიზნი"; აგრეთვე ის დეპუტატები, რომლებმაც მოაწერეს ხელი ამ მოწოდებას. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა საბრალმდებლო აქმა გაზ. „გოსუ[...] დუმას" რედაქტორის ულიანოვის შესახ[ებ] მოახდინა განკარგულება აცნობოს ეს სა[...]როს თავმჯდომარეს.

პალატა აღიარებს, რომ თანახმათ დე[ბულები]ს მე 20 მუხლის სახელმწიფო სათა[თბიროს] შესახებ, ულიანოვი გამორიცხულ უნდა [იქნეს] დეპუტატთა წოდებიდან. სამოსამართლო [პალა]ტამ შეაჩერა გაზეთები „ნაროდ. ვესტ." „იზვესტია კრესტიანსკიხ დეპუტატოვ". დოქტორები მიცემული არიან პასუხის[გებაში] 103 და 139 მუხ ძალით.

**ვარშავა.** გუშინ სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა იან სუბონიას 8 წლის კატორღა. მას ბრალდებოდა სიკვდილის განზრახვა და მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება.

**ატკარსკი.** ღამით გადაიწვა აგაფონოვის მთელი ეზო სოფ. ილოტოვკაში, დაიწვა 2000 ცხვარი და ბევრი სხვა საქონელი.

**სარატოვი.** გაფიცვის გამო მთელ ქალაქში შეწყდა ეტლების მოძრაობა. განაგრძობენ გაფიცვას დამტვირთველები და მეურმეები, რომელნიც მოითხოვენ გადაზიდვ-გადმოზიდვის პირობის მოსპობას.

**მოსკოვი.** დაბა ოზერკაში კოლომენის მაზრაში, აგრეთვე კოსტრომას და იაროსლავის ქარხნებში გაფიცულია ამ ჟამათ 25,000 მუშა. თუ დღეს არ მოხდა შეთანხმება სტამბების პატრონებსა და მუშებს შორის, 18,000 მუშას დაითხოვენ, რადგანაც ხაზეინებს გადაუწყვეტიათ დახურონ სტამბები რამდენიმე ხნით. იაროსლავში ნოვოკოსტრომის მანუფაქტურაში, კაჩინის ქარხანაში მომუშავეებს გამოუცხადეს, რომ თუ გაიფიცებიან, მაშინვე დაითხოვენ.

**ვლადი-კავკაზი.** (ოფიციალურათ). 26 მაისს ტროიცკის სტანიცის ახლო იპოვეს გვამი ინგუშისა. გაიგეს ეს ინგუშებმა თუ არა, მაშინვე დაუწყეს სროლა კაზაკებს. ახლო სოფლებიდან შემოუმატეს ორივე მხარეს შეიარაღებული რაზმები და დაიწყო ნამდვილი ბრძოლა. ვლადიკავკაზიდან გამოვიდა ერთი ბატალიონი ტყვიის მფრქვეველებით და მოითხოვეს სროლის შეჩერება. ინგუშებმა დაუწყეს სროლა სალდათებსაც. მაშინ სალდათებს მისცეს ნიშანი სროლით ინგუშებისათვის. ინგუშებმა დაიხიეს. დახოცილია 5 კაზაკი და 7 ინგუში, დაჭრილია 3 კაზაკი და 20 ინგუში. საშუაბათს მშვიდობიანობა ითა. ჯარები უკან გამოიწვიეს.

**ბათუმი.** სახელმწიფოს სათათბიროს წევრათ აირჩიეს ატსტაკაში მყოფი გენერალი შერვაშიძე, უპარტიო, მსხვილი მემამულე.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.


# განცხადება

საყმაწვილო ჟურნალი

# ნაკადული

სურათებით.

წელიწადში მეორე. წელიწადიაითვლება პირველ იანვრიდან იანვრამდე.

**ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარი წლით: ერთათ—2 მან. 50 კაპ., ცალკ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში გ., ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კ. წლიურ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათათ.

პირობებზე მოსალაპარაკებლათ რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: თფილისი ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქცია.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი. გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

**მიიღება ხელის მოწერა**

სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო და საეკონომიო ახალ გაზეთზე

„კ ა ი ც" (ნაპერწკალი),

რომელიც ჯერ-ჯერობით გამოდის კვირაში

ორჯელ

სოლოლაკის ქუჩა.


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მიხეილის ქუჩ, 65.